პ რ ო ე ქ ტ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2024 წლის თებერვალი

ქ. წყალტუბო

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროკავშირის (INTERREG VI-B) NEXT შავი ზღვის აუზის ქვეყნების პროგრამის ფარგლებში პროექტის „სმარტი და ინოვაციური გადაწყვეტილებები შავი ზღვის ქვეყნებში მწვანე და სუფთა სასოფლო თემებისათვის“ (Smart4Rural) განხორციელებისათვის საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 21 თებერვლის №48-48-2405222 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიამ ევროკავშირის (INTERREG VI-B) NEXT შავი ზღვის აუზის ქვეყნების პროგრამის ფარგლებში პროექტის „სმარტი და ინოვაციური გადაწყვეტილებები შავი ზღვის ქვეყნებში მწვანე და სუფთა სასოფლო თემებისათვის“ (Smart4Rural) განხორციელებისათვის უნდა მიიღოს გრანტი 1335605.47 (მილიონ სამას ოცდათხუთმეტი ათას ექვსას ხუთი ევრო და ორმოცდაშვიდი ცენტი) ევროს ოდენობით, რაც შეადგენს პროექტის მთლიანი ბიუჯეტის 90%-ს. პროექტის მთლიანი ბიუჯეტია 1484006.11 ევრო. უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის განხორციელებაში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტთან ერთად ჩართული იქნება კიდევ 5 ორგანიზაცია: - ასოციაცია „ტექნოპოლ გალაცი“ (რუმინეთი), - ქალაქ უნგენის მერია (მოლდოვა), - ქალაქ რიზეს მუნიციპალიტეტი (თურქეთი), - იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი „სპექტრი“, - მდგრადი განვითარების რეგიონული ცენტრი, მოლდოვა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის, როგორც პროექტის ერთ-ერთი პარტნიორის, ბიუჯეტი აღნიშნულ პროექტში შეადგენს 544.724,16 ევროს, აქედან გრანტია - 490 251.74 ევრო (პროექტში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 90%), ხოლო თანადაფინანსების თანხა შეადგენს 54472.42 ევროს (პროექტში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 10%).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 ნაწილის, შესაბამისად :

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს ევროკავშირის (INTERREG VI-B) NEXT შავი ზღვის აუზის ქვეყნების პროგრამის ფარგლებში პროექტის „სმარტი და ინოვაციური გადაწყვეტილებები შავი ზღვის ქვეყნებში მწვანე და სუფთა სასოფლო თემებისათვის" (Smart4Rural) განხორციელებისათვის საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების შესახებ.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მუნიციპალიტეტის მერს.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:
მოწვეული სპეციალისტი სნეჟანა ჯოლოხავა

შეთანხმებულია:

მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი მაია ბერაძე

აპარატის უფროსი გელა თათარაშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე არჩილი ღიბრაძე

საქართველო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-482405222**
თარიღი: **21/02/2024**

**ადრესატი:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

განცნობებთ, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიამ ევროკავშირის (INTERREG VI-B) NEXT შავი ზღვის აუზის ქვეყნების პროგრამის ფარგლებში პროექტის **„სმარტი და ინოვაციური გადაწყვეტილებები შავი ზღვის ქვეყნებში მწვანე და სუფთა სასოფლო თემებისათვის“ (Smart4Rural)** განხორციელებისათვის უნდა მიიღოს გრანტი **1335605.47 (მილიონ სამას ოცდათხუთმეტი ათას ექვსას ხუთი ევრო და ორმოცდაშვიდი ცენტი)** ევროს ოდენობით, რაც შეადგენს პროექტის მთლიანი ბიუჯეტის 90%-ს. პროექტის მთლიანი ბიუჯეტია 1484006.11 ევრო.

უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის განხორციელებაში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტთან ერთად ჩართული იქნება კიდევ 5 ორგანიზაცია:

- ასოციაცია „ტექნოპოლ გალაცი“ (რუმინეთი),
- ქალაქ უნგენის მერია (მოლდოვა),
- ქალაქ რიზეს მუნიციპალიტეტი (თურქეთი),
- იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი „სპექტრი“,
- მდგრადი განვითარების რეგიონული ცენტრი, მოლდოვა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის, როგორც პროექტის ერთ-ერთი პარტნიორის, ბიუჯეტი აღნიშნულ პროექტში შეადგენს **544.724,16** ევროს, აქედან გრანტია - 490 251.74 ევრო (პროექტში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 90%), ხოლო თანადაფინანსების თანხა შეადგენს 54472.42 ევროს (პროექტში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 10%).

აღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 ნაწილის შესაბამისად მოგვცეთ თანხმობა, რათა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიამ ხელშეკრულება გააფორმოს გრანტის მიღებასთან დაკავშირებით.

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

გთხოვთ, წერილში აღნიშნული საკითხი განიხილოთ საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

შეტყობინება შედეგის შესახებ

01.02.2024

<წყალტუბოს მუნიციპალიტეტი>

**განაცხადის ref.: BB00464 (SmartRural) ჭკვიანი და ინოვაციური გადაწყვეტილებები მწვანე და სუფთა სოფლისთვის შავი ზღვის აუზში.**

მადლობას მოგახსენებთ, რომ წარადგინეთ განაცხადი ზემოხსენებულ კონკურსზე. გთხოვთ, გამოიყენოთ ზემოთ მოყვანილი განაცხადის ნომერი თქვენს ნებისმიერ მიმოწერაში, რომელიც შეეხება პროექტს.

მოხარული ვართ გაცნობოთ, რომ მონიტორინგის კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ თქვენი განაცხადი მიღებულია და მას შესაძლოა მიენიჭოს გრანტი არაუმეტეს - 1335605,47 ევროს ოდენობით, რაც პროექტის მთლიანი დასაშვები ღირებულების 90%-ს შეადგენს.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, მომზადდება საგრანტო ხელშეკრულება მმართველ ორგანოსა და თქვენს ორგანიზაციას შორის.

გთხოვთ, აგრეთვე გაითვალისწინოთ, რომ ეს წერილი არ გაძლევთ აღნიშნული გრანტის გარანტიას. თქვენ მიიღებთ ამ უფლებას, მაშინ, როცა ორივე მხარე მოაწერს ხელს საგრანტო კონტრაქტს და თქვენი უფლებები განისაზღვრება ხელშეკრულების პირობებით.

აგრეთვე, პროექტის უწყვეტად განხორციელების მიზნით, გირჩევთ თითოეულ პარტნიორს, რომ დაიწყოთ მზადება სახელმწიფო შესყიდვების განსახორციელებლად.

იმ შემთხვევაში, თუ თქვენი პროექტი ხელს უწყობს ორგანიზაციების თანამშრომლობას პროექტის დასრულების შემდეგ (RCR84), ჩვენ ვურჩევთ პარტნიორებს, რომ დაიწყონ თანამშრომლობის ხელშეკრულებ(ებ)ის (შეთანხმება) მომზადება, რომელიც დაადასტურებს მათი თანამშრომლობის მზაობას პროექტის განხორციელების პერიოდის დასრულების შემდეგ, როგორც ეს აღწერილია განმცხადებლების სახელმძღვანელოს 2.4 განყოფილების IV ნაწილში.

შეგახსენებთ, რომ საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების წინაპირობაა - თანამშრომლობის ხელშეკრულების ხელმოწერა.

ჩვენ ასევე მოგიწოდებთ, რომ გაატაროთ შესაბამისი ღონისძიებები განმცხადებლების სახელმძღვანელოს 2.4. განყოფილების IV ნაწილში ჩამოთვლილი დოკუმენტების მოსაპოვებლად. კერძოდ: ნებისმიერი თანხმობების მისაღებად, რომლებიც აუცილებელია პროექტის რეალიზაციისთვის.

დამატებითი დეტალები ხელშეკრულების გასაფორმებლად გამოგეგზავნებათ უახლოეს ვადაში.

**Notification**
ABOUT THE OUTCOME OF
**QUALITY ASSESSMENT**
**(STEP 2)**
**Open call for proposals**

<01.02.2024>
**<Tskaltubo Municipality>**

**Call for proposals:** First Call for Proposals Regular projects

**Application ref.:** **BSB00464 (Smart4Rural) Smart and innovative solutions for green and clean rural areas in Black Sea Basin**

Dear Sir/Madam,

Thank you for submitting an application for the above call for proposals. Please use the reference number above in any correspondence regarding your application.

I am pleased to inform you that the Monitoring Committee has decided that your application may be awarded a grant of a maximum of EUR **<1.335.605,47 >**, representing **<90%>** of the total eligible cost of the project.

A grant contract between the Managing Authority and your organisation will therefore be prepared.

Please note that this letter does not give you the right to the said grant. You will not acquire that right until both parties have signed the grant contract and then your right will depend upon the terms of the contract.

Nevertheless, for a smooth project implementation we recommend all project partners to initiate the preparation for launching the public procurement procedures needed to be carried out.

**In case your project contributes to the achievement of the result indicator Organizations cooperating across borders after project completion (RCR84),** we recommend partners in the project to start the preparation of cooperation agreement proving evidence on their commitment to cooperate after the project ends its implementation period, as described in Part IV section 2.4 of the Guidelines for applicants.

We remind you that the signature of the cooperation agreement is a pre-condition for grant contract signature.

**In case your project includes investments,** we strongly recommend those partners having investments foreseen in their project budget to start the endevoaurs for obtaining the listed documents and any other documents/ permits/ authorizations/ agreements needed for project implementation, as listed in Part IV section 2.4 of the Guidelines for applicants.

More details regarding the conditions to be fulfilled in order to sign the contract will be send to you shortly.

Yours faithfully,
Georgiana BRATU
Coordinator of the Assessment Working Group

BRATU GEORGIANA
Digitally signed by BRATU GEORGIANA
Date: 2024.02.01 10:50:02 +02'00'